

შპს ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული
და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის და მასზე
გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. ძირითადი საშუალებები	18
4. არამატერიალური აქტივი	19
5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	19
6. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	19
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	19
8. სესხები.....	20
9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	20
10. ანარიცხები.....	20
11. შემოსავალი.....	21
12. ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი ნეტო.....	21
13. ფინანსური ინსტრუმენტები.....	21
14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	21
15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
16. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	22
მმართველობითი ანგარიში.....	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ვის: შპს “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ”-ის დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ინ ვიტრო განაყოფიერება”-ის (შემდგომში, ტექსტში, კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 4 ივლისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2022 წლის დასაწყისში და ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტის პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების ნაშთის, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი 2023 წლის მარაგების ხარჯების ამსახველი თანხებისა და შესაბამისად წლიური შედეგების კორექტირება, რის გამოც მოდიფიცირებულია ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ამ საკითხის შესაძლო გავლენის გამო.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.4 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე 2.4 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შესწორებების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ციფრების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, გარდა სასაქონლო მატერიალური მარაგების თანხებთან დაკავშირებული ჩასწორებებისა, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებებთან

მიმართებაში.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც უარი განაცხადა მოსაზრება გამოთქმაზე ამ ანგარიშგების შესახებ 2024 წლის 27 იანვარს. მოსაზრებაზე უარის განაცხადების მიზეზის საფუძველს წარმოადგენდა რამოდენიმე საკითხი, ამ საკითხთაგან მოუვარებელი დარჩა ერთ-ერთი საკითხი სასაქონლო მატერიალური მარაგების საკითხი. ამ საკითხის გავლენის დეტალები მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაზე და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტის მოსაზრებაზე მოცემულია პირობითი მოსაზრების საფუძველის ნაწილში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2024 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 27-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და, გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე.

გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვათაგან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2024 წლის 27 სექტემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 22-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2024 წლის 27 სექტემბერი, თბილისი, საქართველო

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.


ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2024 წლის 27 სექტემბერი, თბილისი, საქართველო



შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 (ჩასწორებული)	01.01.2022 (ჩასწორებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	18,247	18,562	19,348
არამატერიალური აქტივები	4	3	5	3
სულ გრძელვადიანი აქტივები		18,250	18,567	19,351
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		616	277	255
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5	2,173	1,782	649
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	6	26	24	155
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	6,031	2,699	1,967
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,846	4,782	3,026
სულ აქტივები		27,096	23,349	22,377
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		18,642	11,730	8,341
სულ საკუთარი კაპიტალი		18,642	11,730	8,341
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	4,812	8,319	11,716
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,812	8,319	11,716
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	1,493	1,579	730
ანარიცხები	10	686	374	197
მოკლევადიანი სესხები	8	1,463	1,347	1,393
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,642	3,300	2,320
სულ ვალდებულებები		8,454	11,619	14,036
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		27,096	23,349	22,377

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდაშვილი, ფინანსური დირექტორი

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 (ჩასწორებული)	01.01.2022 (ჩასწორებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	18,247	18,562	19,348
არამატერიალური აქტივები	4	3	5	3
სულ გრძელვადიანი აქტივები		18,250	18,567	19,351
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		616	277	255
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5	2,173	1,782	649
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	6	26	24	155
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	6,031	2,699	1,967
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,846	4,782	3,026
სულ აქტივები		27,096	23,349	22,377
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		18,642	11,730	8,341
სულ საკუთარი კაპიტალი		18,642	11,730	8,341
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	4,812	8,319	11,716
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,812	8,319	11,716
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	1,493	1,579	730
ანარიცხები	10	686	374	197
მოკლევადიანი სესხები	8	1,463	1,347	1,393
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,642	3,300	2,320
სულ ვალდებულებები		8,454	11,619	14,036
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		27,096	23,349	22,377

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდაშვილი, ფინანსური დირექტორი

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის (ზასწორებული)
შემოსავალი	11	24,303	14,730
საიჯარო შემოსავალი		18	50
სულ შემოსავალი		24,321	14,780
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(4,081)	(2,686)
შრომის ანაზღაურება		(9,302)	(6,633)
ანალიზები და კვლევები		(1,137)	(771)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები		(596)	(645)
საგადასახადო ანარიცხის ხარჯი		(310)	(178)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,019)	(1,175)
სხვა ხარჯი		(530)	(448)
ფინანსური (ხარჯი) /შემოსავალი ნეტო	12	(425)	1,611
სხვა მოგება/(ზარალი)		61	(45)
მიდინარე წლის მოგება		6,982	3,810
სულ სრული მოგება		6,982	3,810

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
 ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდაშვილი, ფინანსური დირექტორი

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
შემოსავალი	11	24,303	14,730
საიჯარო შემოსავალი		18	50
სულ შემოსავალი		24,321	14,780
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(4,081)	(2,686)
შრომის ანაზღაურება		(9,302)	(6,633)
ანალიზები და კვლევები		(1,137)	(771)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები		(596)	(645)
საგადასახადო ანარიცხის ხარჯი		(310)	(178)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,019)	(1,175)
სხვა ხარჯი		(530)	(448)
ფინანსური (ხარჯი) /შემოსავალი ნეტო	12	(425)	1,611
სხვა მოგება/(ზარალი)		61	(45)
მიდინარე წლის მოგება		6,982	3,810
სულ სრული მოგება		6,982	3,810

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
 ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 30 სექტემბერს

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდამიძე, ფინანსური დირექტორი

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	23,953	13,616
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(16,004)	(10,353)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	7,949	3,263
მიღებული პროცენტი	181	58
გადახდილი პროცენტი	(493)	(532)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	7,637	2,789
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(697)	(286)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები	(697)	(286)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	1,438	-
სესხის ძირის დაფარვა	(4,927)	(1,201)
გადახდილი დივიდენდი	(70)	(421)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(3,559)	(1,622)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	3,381	881
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,699	1,967
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(49)	(149)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	6,031	2,699

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 სექტემბერს

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდაშვილი, ფინანსური დირექტორი

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	23,953	13,616
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(16,004)	(10,353)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	7,949	3,263
მიღებული პროცენტი	181	58
გადახდილი პროცენტი	(493)	(532)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	7,637	2,789
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(697)	(286)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები	(697)	(286)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	1,438	-
სესხის ძირის დაფარვა	(4,927)	(1,201)
გადახდილი დივიდენდი	(70)	(421)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(3,559)	(1,622)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	3,381	881
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,699	1,967
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(49)	(149)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	6,031	2,699

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 სექტემბერს

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდაშვილი, ფინანსური დირექტორი

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს (ჩასწორებული)	8,341
განაწილებული დივიდენდი	(421)
2022 წლის სრული მოგება (ჩასწორებული)	3,810
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს (ჩასწორებული)	11,730
განაწილებული დივიდენდი	(70)
2023 წლის სრული მოგება	6,982
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	18,642

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 სექტემბერს

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდაშვილი, ფინანსური დირექტორი

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს (ჩასწორებული)	8,341
განაწილებული დივიდენდი	(421)
2022 წლის სრული მოგება (ჩასწორებული)	3,810
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის (ჩასწორებული)	11,730
განაწილებული დივიდენდი	(70)
2023 წლის სრული მოგება	6,982
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის	18,642

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 სექტემბერს

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდაშვილი, ფინანსური დირექტორი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“, შედგომში „კომპანია“, რომლის საიდენტიფიკაციო კოდია 202462708 რეგისტრირებულია 2009 წლის 21 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქუჩა, N 21. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინ ვიტრო განაყოფიერება და უშვილობის მკურნალობის დამხმარე რეპროდუქციული მომსახურებები. კომპანიის სავაჭრო ნიშნებია: „კლინიკა ინ ვიტრო“, „leadermed clinic“.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ – მრავალპროფილური კლინიკაა, სადაც პაციენტებს მომსახურებას უწევენ უმაღლესი რანგის სპეციალისტები. კლინიკა აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური ცენტრითა და თანამედროვე სტანდარტების აპარატურით. კლინიკა „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს ძირითადი შემოსავლის წყაროა სუროგაცია და ინ ვიტრო მომსახურების გაწევა. გარდა ამისა, კლინიკა შემოსავალს გამოიმუშავებს ამბულატორიული მომსახურებიდანაც. მას გააჩნია სერვისები შემდეგი მიმართულებით: გინეკოლოგია, ქირურგია, რეპროდუქტოლოგია, ოფთალმოლოგია, ამბულატორია, დიაგნოსტიკა, ლაბორატორია.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, 2022 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის კომპანიის დამფუძნებლები არიან ორმოცდაათ ორმოცდაათი პროცენტის მონაწილეობით: ნატალია ხონელიძე (პირადი ნომერი 01017006056) და გაია ცაგარეშიშვილს (პირადი ნომერი 01008011065).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას, კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2022 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა. ჩასწორების ფინანსური დეტალები და მიზეზი მოცემულია ქვემოთ:

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2022 ჩასწორებული	შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია	31.12.2022 ჩასწორებამდე
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	18,562	(821)	19,383
არამატერიალური აქტივი	5	5	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	18,567	(816)	19,383
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	277	(1,925)	2,202
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,782	782	1,000
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	24	(65)	89
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,699	6	2,693
სულ მოკლევადიანი აქტივები	4,782	(1,202)	5,984
სულ აქტივები	23,349	(2,018)	25,367
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	11,730	(1,638)	13,368
სულ საკუთარი კაპიტალი	11,730	(1,638)	13,368
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8,319	3,655	4,664
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	8,319	3,655	4,664
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,579	(678)	2,257
ანარიცხები	374	374	
მოკლევადიანი სესხები	1,347	(3,731)	5,078
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3,300	(4,035)	7,335
სულ ვალდებულებები	11,619	(380)	11,999
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	23,349	(2,018)	25,367

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	01.01.2022 ჩასწორებული	შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია	01.01.2022 ჩასწორებამდე
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	19,348	(665)	20,013
არამატერიალური აქტივი	3	3	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	19,351	(662)	20,013
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	255	(1,862)	2117
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	649	229	420
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	155	5	150
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,967	3	1964
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,026	(1,625)	4,651
სულ აქტივები	22,377	(2,287)	24,664
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	8,341	(2,443)	10784
სულ საკუთარი კაპიტალი	8,341	(2,443)	10,784
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11,716	-	11716
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	11,716	-	11,716
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	730	299	431
ანარიცხები	197	197	
მოკლევადიანი სესხები	1,393	(340)	1733
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,320	156	2,164
სულ ვალდებულებები	14,036	156	13,880
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	22,377	(2,287)	24,664

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2022 ჩასწორებული	შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია	31.12.2022 ჩასწორებამდე
შემოსავალი	14,730	1,123	13,607
საიჯარო შემოსავალი	50	50	-
სულ შემოსავალი	14,780	1,123	13,607
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(2,686)	(105)	(2,581)
შრომის ანაზღაურება	(6,633)	80	(6,713)
ანალიზები და კვლევები	(771)	(49)	(722)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	(645)	(139)	(506)
საგადასახადო ანარიცხის ხარჯი	(178)	(178)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,175)	(183)	(992)
სხვა ხარჯი	(448)	170	(618)
ფინანსური შემოსავალი / ხარჯი	1,611	4	1,607
სხვა ზარალი	(45)	33	(78)
მიდინარე წლის მოგება	3,810	756	3,004
სულ სრული მოგება	3,810	756	3,004

2.3 შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღე-ს გარეშე და ფასდათმობის გათვალისწინებით.

2.4 წარდგენის ვალუტა

ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.88844
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული

კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები, სამედიცინო ინვენტარი	2-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-15
კომპიუტერული ტექნიკა	2-15
სატრანსპორტო საშუალებები	15

2.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირების დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღებად ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

2.9 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის პერიოდში.

2.10 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებლის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

2.11 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები

გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.12 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტის და ვალდებულებას.

2.13 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.14 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.16 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს,

რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ანარიცხები. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. ანარიცხთან დაკავშირებული რისკების მატერიალიზების შემთხვევაში ფაქტიური ვალდებულების სიდიდე შესაძლოა განსხვავებული იყოს აღიარებულ ანარიცხის ოდენობასთან შედარებით.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარ ები და სამედიცინო ინვენტარი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება						
01.01.2022	17,291	3,960	723	319	20	22,313
შეძენა	-	274	69	44	-	387
31.12.2022	17,291	4,234	792	363	20	22,700
შეძენა	-	603	77	22	-	702
31.12.2023	17,291	4,837	869	385	20	23,402
ცვეთა						
01.01.2022	(568)	(1,964)	(293)	(131)	(9)	(2,965)
პერიოდის						
ცვეთა	(329)	(633)	(151)	(59)	(1)	(1,173)
31.12.2022	(897)	(2,597)	(444)	(190)	(10)	(4,138)
პერიოდის						
ცვეთა	(328)	(510)	(128)	(50)	(1)	(1,017)
31.12.2023	(1,225)	(3,107)	(572)	(240)	(11)	(5,155)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
01.01.2022	16,723	1,996	430	188	11	19,348
31.12.2022	16,394	1,637	348	173	10	18,562
31.12.2023	16,066	1,730	297	145	9	18,247

- საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის უძრავი ქონების ნაწილით, რომელთან ნარჩენი ღირებულება 31.12.2023, 31.12.2022 და 01.01.2022 შეადგენს 14,683; 14,977 და 15,270 შესაბამისად.
- კომპანიის ერთ ერთ სასამართლო დავასთან დაკავშირებით, რომელზედაც აღიარებულია ანარიცხი, 14,641 თანხის უძრავ ქონებაზე დადებულია სასამართლო აკრძალვა გასხვისებაზე.
- მიწასთან დაკავშირებით, რომლის ნარჩენი ღირებულება 31.12.2023, 31.12.2022 და 01.01.2022 შეადგენს 855 შესაბამისად, კომპანიას გააჩნია გარკვეული არაფინანსური საპრივატიზაციო ვალდებულება - სამედიცინო პროფილის შენარჩუნება, რომლის ვადა იწურება 2030 წელს.
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომლის ნარჩენი ღირებულება 31.12.2023, 31.12.2022 და 01.01.2022 შეადგენს 63, 65 და 66 შესაბამისად, კომპანიას გააჩნია გარკვეული ვალდებულება მომწოდებელთან.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. არამატერიალური აქტივი

	კომპიუტერული პროგრამები	ლიცენზია	სულ
ისტორიული ღირებულება			
01.01.2022	11	-	11
შემენა	-	5	5
31.12.2022	11	5	16
31.12.2023	11	5	16
ამორტიზაცია:			
01.01.2022	(8)	-	(8)
პერიოდის ამორტიზაცია	(2)	(1)	(3)
31.12.2022	(10)	(1)	(11)
პერიოდის ამორტიზაცია	(1)	(1)	(2)
31.12.2023	(11)	(2)	(13)
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
01.01.2022	3	-	3
31.12.2022	1	4	5
31.12.2023	-	3	3

5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,173	1,782	649
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,173	1,782	649

6. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
გადახდილი ავანსები	26	24	58
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-	97
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	26	24	155

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
ნაღდი ფული სალაროში	6	14	7
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,491	1,545	1,325
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	534	1,140	635
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,031	2,699	1,967

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. სესხები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
მოკლევადიანი სესხები	1,463	1,347	1,393
გრძელვადიანი სესხები	4,812	8,319	11,716
სულ მიღებული სესხები	6,275	9,666	13,109

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
საბანკო სესხი ცვლადი პროცენტით ევროში	3,358	8,319	11,716
არაუზრუნველყოფილი სესხები მოკავშირე მხარეებისგან ფიქსირებული პროცენტით ევროში	1,454	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები	4,812	8,319	11,716
საბანკო სესხი ცვლადი პროცენტით ევროში	1,463	1,347	1,393
სულ მოკლევადიანი სესხები	1,463	1,347	1,393
სულ სესხები	6,275	9,666	13,109

კომპანიის ყველა სესხი აღებული აქვს ევროში. ბანკებისგან აღებულ ევროში დემონირებულმა სესხების პროცენტმა 2023 წელს საშუალოდ შეადგინეს 6.2% - 6.5% , ხოლო 2022 და 2021 წლებში კი: 6.39% - 7.70% და 3.69% - 5.70% შესაბამისად. მოკავშირე მხარისგან მიღებული სესხის პროცენტი შეადგენს წლიურ 6%-ს. საბანკო სესხები ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს, მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის, დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოეჩნება უფლება და არა ვალდებულება, მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე. ისე როგორც მოცემულია ბალანსის შემდეგ მომხდარი მოვლენების ამსახველ ახსნა განმარტებით შენიშვნაში, კომპანიამ წინასწარ დაფარა ყველა საბანკო სესხი 2024 წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, რის გამოც ფინანსურ ვალდებულებებთან შესაბამისობის სტატუსის შესახებ გაანგარიშებები და ახსნა-განმარტებები მას ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარუდგენია.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის უძრავი ქონებით. ამ უზრუნველყოფის დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა ნომერ 3.

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	789	970	414
გადასახდელი გადასახადები	90	136	-
გადასახდელი ხელფასები	605	455	300
მიღებული ავანსები	9	18	16
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,493	1,579	730

10. ანარიცხები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სასამართლო დავების ანარიცხი	42	42	42
საგადასახადო ანარიცხი	644	332	155
სულ ანარიცხები	686	374	197

2023 და 2022 წლებში ანარიცხების გამოყენება არ მომხდარა, ანარიცხების შექმნის მიზნით დარიცხული ხარჯები ცალკეული ხარჯის სახით წარმოდგენილია მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. შემოსავალი

	2023 წლისათვის	2022 წლისათვის
სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	24,275	14,716
სხვა შემოსავალი	28	14
სულ შემოსავალი	24,303	14,730

12. ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი ნეტო

	2023 წლისათვის	2022 წლისათვის
საპროცენტო შემოსავლები	181	58
საპროცენტო ხარჯები	(569)	(533)
სხვა ფინანსური შემოსავალი	119	-
კურსთა შორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება/(ზარალი)	(156)	2,086
სულ ფინანსური ხარჯი /(შემოსავალი)	(425)	1,611

13. ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,031	2,699	1,967
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,173	1,782	649
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	8,204	4,481	2,616
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	6,275	9,666	13,109
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	879	1,106	414
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	7,154	10,772	13,523

14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

19.1 სამართლებრივი პროცედურები. კომპანიის წინააღმდეგ აღძრულია და მომავალშიც შესაძლოა აღიძრას ცალკული სამოქალაქო სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ფინანსური ანგარიშგებაში ასახული ანარაჯის გარდა მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღდება კომპანიას ამ სარჩელების გამო.

19.2 საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამის საგადასახადო ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა განსხვავებულ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. შედეგად, შესაძლოა კომპანიას დამატებით დაერიცხოს გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ პროცესებიდან გამომდინარე და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან და დირექტორთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები და ამავე დროს დირექტორი	კომპანიის დირექტორი
მიღებული სესხი	(1,454)	-
განაწილებული დივიდენდი	70	-
საპროცენტო ხარჯები	76	-
მოკლევადიანი სარგებელი -სახელფასო ხარჯი	1,074	35

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის დამფუძნებლებთან და დირექტორთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

	დამფუძნებლები და ამავე დროს დირექტორი
განაწილებული დივიდენდი	421
მოკლევადიანი სარგებელი -სახელფასო ხარჯი	1,075

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლებთან და დირექტორთან ჰქონდა შემდეგი ბალანსები:

	დამფუძნებლები და ამავე დროს დირექტორი
გადასახდელი ხელფასები	40

16. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2024 წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე:

- **დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების პირის ცვლილება** - 2024 წლის მარტში კომპანიაში შეიცვალა დირექტორი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების პირის პოზიცია დაიკავა ბატონმა გიორგი ამბროლიანმა (ს/კ 53001003818).
- კომპანიამ დაფარა წინსწრებით სრულად საბანკო სესხები.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს, კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 202462708; შემდგომში “კლინიკა” ან “კომპანია”) დაარსდა 2009 წლის 21 ოქტომბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

კომპანიის დამფუძნებელ პარტნიორებს დაარსების დღიდან წარმოადგენენ: ფიზიკური პირი ნატალია ხონელიძე (პ/ნ 01017006056) – 50%-იანი წილის მფლობელი და ფიზიკური პირი გია ცაგარეიშვილი (პ/ნ 01008011065) – 50%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორი დაარსების დღიდან 2014 წლის 30 ივლისამდე იყო ნატალია ხონელიძე; 2014 წლის 30 ივლისიდან 2019 წლის 06 ნოემბრამდე - გია ცაგარეიშვილი; 2019 წლის 06 ნოემბრიდან 2020 წლის 09 ივლისამდე - გია ცაგარეიშვილი და ზაზა სოფრომაძე (პ/ნ 60001007771); 2020 წლის 09 ივლისიდან 2023 წლის 03 მაისამდე გია ცაგარეიშვილი და ნატალია ხონელიძე; 2023 წლის 03 მაისიდან 2023 წლის 18 ივლისამდე კომპანიის დირექტორს წარმოადგენდა კახა ბაბუნაშვილი (პ/ნ 59001024299), 2023 წლის 18 ივლისიდან 2024 წლის 4 მარტამდე კომპანიის დირექტორები იყვნენ ნატალია ხონელიძე და გია ცაგარეიშვილი, ხოლო 2024 წლის 4 მარტიდან ამ ანგარიშგების თარიღამდე კომპანიის დირექტორია გიორგი ამბროლიანი,

კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. იგი იმართება დირექტორის მიერ.

კომპანიას 2023 წლის 18 ოქტომბრამდე გააჩნდა ფილიალი ქ. ბათუმში, ვახტანგ გორგასლის ქ. N165-ში. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ დღ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2020 წლის 22 დეკემბერს.

კომპანიის მიზანია მოგების მიღება გამჭვირვალე, სამართლიანი და ბიზნეს-ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის შედეგად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა და საავადმყოფოს სხვა საქმიანობის განხორციელება.

კომპანიის სავაჭრო ნიშნებია: „კლინიკა ინ ვიტრო“, „leadermed clinic“.

- შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ – მრავალპროფილური კლინიკაა, სადაც პაციენტებს მომსახურებას უწევენ უმაღლესი რანგის სპეციალისტები. კლინიკა აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური ცენტრითა და თანამედროვე სტანდარტების აპარატურით. კლინიკა „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს ძირითადი შემოსავლის წყაროა სუროგაცია და ინ ვიტრო მომსახურების გაწევა. გარდა ამისა, კლინიკა შემოსავალს გამოიმუშავებს ამბოლატორიული მომსახურებიდანაც.

- კლინიკა 6-სართულიანია და გათვლილია სტანდარტულად 48 საწოლზე.

- კლინიკა სამედიცინო მომსახურებას უწევს მომხმარებლებს, რომლებსაც სჭირდებათ სტაციონარული და ამბულატორიული სერვისები. მას გააჩნია სერვისები შემდეგი მიმართულებით: გინეკოლოგია, ქირურგია, რეპროდუქტოლოგია, ოფთალმოლოგია, ამბულატორია, დიაგნოსტიკა, ლაბორატორია.

- შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, კლინიკა სთავაზობს პაციენტებს განსხვავებულ, თანამედროვე კონცეფციას: კვალიფიციური სამედიცინო დახმარება საუკეთესო მომსახურებასთან ერთად.

- შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს მიზანია შეამციროს იმ პაციენტების ნაკადი, რომლებიც მიდიან სამკურნალოდ საზღვარგარეთ და გაუწიოს მათ ანალოგიური ზარისხის სამედიცინო მომსახურება თბილისში, ქართველი და უცხოელი ექიმების დახმარებით. კლინიკის მიზანია გახდეს ამიერკავკასიაში საუკეთესო რეგიონალური კლინიკა და მოემსახუროს პაციენტებს მთელი მსოფლიოდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების დაცვით.

- კომპანიის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.

- დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით პერიოდულ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები).

- კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა, აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. კომპანიას ჰყავს დაცვის სამსახური 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს როგორც ფიზიკურად, ასევე სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით.

- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

- კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს მის ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით, საბუღალტრო პროგრამა „ბალანსი“-სა და საოპერაციო პროგრამა „სოფტმედიკი“-ს გამოყენებით.

- 2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 0 ლარს.

**შპს „შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ის“მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

- კომპანიის ამონაგებმა 2022 წელს 14.7 მილიონი ლარი, ხოლო 2023 წელს - 24.3 მილიონი ლარი შეადგინა; რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამონაგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია მნიშვნელოვნად გაზრდილია, ძირითადად უკრაინაში მიმდინარე საომარი მდგომარეობის შედეგად რეგინის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გადანაწილებული პაციენტების გამო.
- რისკების მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დეველუაციის შედეგად საკუროს სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე.
- კომპანიის მიერ არ ჩატარებულა კვლევა ბუნებაზე ზემოქმედების კუთხით.

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

პოზიცია	რაოდენობა
მენეჯმენტი	231
სხვა თანამშრომლები	21
სულ დასაქმებულები	252

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს ან კონტრაგენტს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება – გადასახდელი თანხების გადახდა. კომპანიის საკრედიტო რისკი წარმოიშობა მისი პაციენტების მომსახურების შედეგად, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების არსებობის შედეგად. საბალანსო მუხლების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებებს. კლინიკა საკრედიტო რისკს მართავს კონტრაგენტისა და მათი აგენტებისთვის გადახდისუნარიანობისა და წარსული საკრედიტო ისტორიის მონიტორინგის გზით. კომპანია დებიტორებს მართავს ეფექტურად, რაც დასტურდება იმით, რომ ამონაგების 65%-იანი ნაზრდის მიუხედავად, 2023 წელს 2022 წელთან შედარებით მხოლოდ 22%-ით გაიზარდა სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა დებიტორული დავალიანების ბალანსი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას, შემოსავლის დიდი ნაწილი აქვს უცხოელი პაციენტებისგან, კლინიკა არსებითად მართავს სავალუტო რისკს საჭიროების შემთხვევაში ფასის ადაპტირების გზით, რაც გულისხმობს იმას, რომ ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი მერყეობის შემთხვევაში, კომპანია ცვლის მომსახურების ფასს, რაც მას აძლევს მომავალი ფულადი ნაკადების დაბალანსების საშუალებას. 2023 წლის 31 დეკემბრით, კომპანია ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს ინახავდა ეროვნულ ვალუტაში და მხოლოდ მცირე ნაწილს ინახავდა უცხოურ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს მისი გადახდის ვალდებულებების დაკმაყოფილებას დაფარვის თარიღისთვის ჩვეულებრივ და სტრესულ სიტუაციაში. რამდენადაც კლინიკის მოკლევადიანი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის მოკლევადიან ვალდებულებებს 2023 წლის 31 დეკემბრით, მენეჯმენტის შეფასებით ლიკვიდურობის გამო ფინანსური პრობლემის წარმოქმნის რისკი მინიმალურია.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს დირექტორისა და ფინანსური დირექტორის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდაშვილი, ფინანსური დირექტორი

**შპს „შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრ“-ის“მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

- კომპანიის ამონაგებმა 2022 წელს 14.7 მილიონი ლარი, ხოლო 2023 წელს - 24.3 მილიონი ლარი შეადგინა; რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამონაგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია მნიშვნელოვნად გაზრდილია, ძირითადად უკრაინაში მიმდინარე საომარი მდგომარეობის შედეგად რეგინის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გადანაწილებული პაციენტების გამო.
- რისკების მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დევალივაციის შედეგად საკუროს სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე.
- კომპანიის მიერ არ ჩატარებულა კვლევა ბუნებაზე ზემოქმედების კუთხით.

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

პოზიცია	რაოდენობა
მენეჯმენტი	231
სხვა თანამშრომლები	21
სულ დასაქმებულები	252

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს ან კონტრაგენტს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება – გადასახდელი თანხების გადახდა. კომპანიის საკრედიტო რისკი წარმოიშობა მისი პაციენტების მომსახურების შედეგად, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების არსებობის შედეგად. საბალანსო მუხლების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებებს. კლინიკა საკრედიტო რისკს მართავს კონტრაგენტისა და მათი აგენტებისთვის გადახდისუნარიანობისა და წარსული საკრედიტო ისტორიის მონიტორინგის გზით. კომპანია დებიტორებს მართავს ეფექტურად, რაც დასტურდება იმით, რომ ამონაგების 65%-იანი ნაზრდის მიუხედავად, 2023 წელს 2022 წელთან შედარებით მხოლოდ 22%-ით გაიზარდა სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა დებიტორული დავალიანების ბალანსი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას, შემოსავლის დიდი ნაწილი აქვს უცხოელი პაციენტებისგან, კლინიკა არსებითად მართავს სავალუტო რისკს საჭიროების შემთხვევაში ფასის ადაპტირების გზით, რაც გულისხმობს იმას, რომ ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი მერყეობის შემთხვევაში, კომპანია ცვლის მომსახურების ფასს, რაც მას აძლევს მომავალი ფულადი ნაკადების დაბალანსების საშუალებას. 2023 წლის 31 დეკემბრით, კომპანია ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს ინახავდა ეროვნულ ვალუტაში და მხოლოდ მცირე ნაწილს ინახავდა უცხოურ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს მისი გადახდის ვალდებულებების დაკმაყოფილებას დაფარვის თარიღისთვის ჩვეულებრივ და სტრესულ სიტუაციაში. რამდენადაც კლინიკის მოკლევადიანი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის მოკლევადიან ვალდებულებებს 2023 წლის 31 დეკემბრით, მენეჯმენტის შეფასებით ლიკვიდურობის გამო ფინანსური პრობლემის წარმოქმნის რისკი მინიმალურია.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს დირექტორისა და ფინანსური დირექტორის მიერ 2024 წლის 27 სექტემბრის.

ბნ გიორგი ამბროლიანი, დირექტორი

ბნ ვლადიმერ გუდაშვილი, ფინანსური დირექტორი

